

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №8(22) 2012 წ. 16-30 აპრილი ფასი 50 თეთრი

თანობიერი

მუნიციპალიტეტის გამგეობაში



24 აპრილს საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს მუნიციპალიტეტის გამგებელი გია ჩალათაშვილი, გამგებლის მოადგილეები, გამგეობის სამსახურების უფროსები, ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულები ესწრებოდნენ. თათბირი მუნიციპალიტეტის გამგებელს გია ჩალათაშვილს მიჰყავდა. მან გამოიკითხა სოფლებში არსებული ის მნიშვნელოვანი, სოფლის ცხოვრების დღის წესრიგის საკითხები, რომლებიც საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ძალისხმევითა და დახმარებით შეიძლება მოგვარდეს.

თათბირზე 23 აპრილს ღამით მოსული ძლიერი წვიმისაგან შექმნი-

ლი მდგომარეობის შესახებ ზეპირი ინფორმაცია გააკეთა ნინოწმინდის რწმუნებულმა ოთარ როჭიკაშვილმა. როგორც მან აღნიშნა, ძლიერი წვიმა სოფლის ჩრდილოეთით მდებარე ტყეში მოვიდა, რომელმაც ჩამორეცხა მთისა და ტყის მიწის ზედაპირი, მოგლიჯა ხეები და მთლიანი მასა იმ წყალგამტარ გვირაბში შეიტანა, რომელიც წარმოადგენს რესპუბლიკური მნიშვნელობის სააგრომობილო მაგისტრალის დამაკავშირებელ მონაკვეთს. როგორც რწმუნებულმა აღნიშნა, გვირაბი სიგრძით 70 მეტრისაა, რომელშიც 100 მმ-იანი დიამეტრის მქონე სასმელი წყლის მილი გადის. მართალია, მილი „სოფლის განვითარების მხარდაჭერი“ პროგრამით მიმდინარე წელს უნდა შეცვ-

ლილიყო, მაგრამ ახლა წყლის მიწოდება ე.წ. „აჭარლების დასახლებისა“ და ე.წ. „ზეთაის“ მიმართულებებით ნაადრევად, პროგრამით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე შეწყდა. ამასთან, გვირაბი იმდენად გადავსებული ქვა-ღორღით, რომ მისი გაწმენდა ძალიან გაჭირდება. ნიაღვარმა დახრამა და მთლიანად მოშალა სასმელი წყლის ცენტრალურ სათავე-ნაგებობასთან მიმავალი გზაც. მთიდან ჩამოსულმა ნიაღვარმა დატბორა და დააზიანა ნინოწმინდის სასაფლაო. აღნიშნულ საკითხზე საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გია ჩალათაშვილმა გამგეობის მხრიდან დახმარება აღუთქვა – მთიდან ჩამოტანილ ქვა-ღორღისა და შემდეგში მოსალოდნელი ნიაღვრებისაგან სასაფლაოს დასაცავად გატარდება ქმედითი ღონისძიებები, მიხმარებენ მძიმე ტექნიკას და გამოუყოფენ საწვავს. რაც შეეხება სააგრომობილო მაგისტრალის ქვეშ გამავალ წყალგამტარ გვირაბს, შექმნილი მდგომარეობის შესახებ საქმის კურსში დღესვე ჩააყენებენ საქართველოს საგზაო-სატრანსპორტო სამინისტროს ხელმძღ-

ვანელობას. სოფლების: გიორგიწმინდის, მანავის, კრასნაგორკის (სათაფლე), ხაშმის, კოჭბანის, ბოგდანოვის რწმუნებულებმა გააკეთეს ზეპირი ინფორმაცია სოფლებში არსებული მდგომარეობის შესახებ. განსაკუთრებით გაეხვა ხაზი იმ ზომების გატარების აუცილებლობას, რომელიც ითვალისწინებს სოფელ სათაფლეს (ყოფილი კრასნაგორკის) ტერიტორიაზე აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებიდან საზაფხულო იალაღებზე მიმავალი ცხვრის ფარების უკანონოდ გადარეკვის შემთხვევებს. ცხვრის ფარების კანონით დადგენილი ცხვრის გადასარევი ბილიკების (ტრასების) გვერდის ავლა კი ბევრ პრობლემას უქმნის სოფლის მოსახლეობას. როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, აღნიშნულ საკითხზე საქმის კურსში ჩააყენებენ პოლიციას, რომელიც თვალყურს მიადევნებს აღნიშნული მარშრუტის დაცვას. თათბირზე დაყენებული ყველა საკითხის გადასატრედად დაისახა ქმედითი ღონისძიებები.



ჩვენს მუნიციპალიტეტში ვარსკვიანი

გვერდი 3

საგაერთოელოების მუზეუმი

გვერდი 4

საკრთიფიკატი ანსამბლებს

გვერდი 5

გეგდაუღებელი ფალაგანი 100 წლისაა

გვერდი 7

მუნიციპალური გვერდი

ღანიშვა



საგარეჯოს რწმუნებულად 2012 წლის 6 აპრილიდან დაინიშნა გიორგი (გია) ქელივიძე.

გიორგი ქელივიძე საგარეჯოელია.

დაიბადა 1964 წლის 18 ივლისს. 1981 წელს საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. ივანოვოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, საიდანაც გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში. შემდეგ სწავლა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ზოოსაინჟინრო ფაკულტეტზე განაგრძო და 1991 წელს დაამთავრა. ეწეოდა კერძო ბიზნესს. 1988 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებით იგი საკრებულოს მდივნად დაინიშნა.

2002 წელს საგარეჯოს რაიონის გამგებლის მოადგილეა კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის დარგში.

2006 წლიდან საქართველოს კომპანია „ენერგოპროჯორჯიაშია“, 2009 წლიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსია, ხოლო 2011 წლის მარტიდან – ზედამხედველობის სამსახურის უფროსი – 2012 წლის 6 აპრილამდე.

ჰყავს მეუღლე და 3 ვაჟი.

ღანიშვა



მთავარი სპეციალისტია. 2012 წლის აპრილიდან კი ამავე სამსახურის უფროსად დაინიშნა. ჰყავს მეუღლე – ნინო ყანდარელი და შვილი – ნენე ჭანტურია.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

ერთი დღით საკრებულოს კომისიაში



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა შოთა ხუნიანაშვილი.

ცნობისათვის:
დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში 1959 წელს. კაკაბეთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის შრომის ეკონომიკის სპეციალობაზე. 1983 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა დაიწყო ბიორეპროდუქციის გეოლოგიის ეკონომიკის სპეციალობაში. 1988 წლამდე.
1988-1991წწ. ვერხვიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა.
1991-1993 წწ. კაკაბეთის კოლმეურნეობის დირექტორია.
1993-1996 წწ. კაკაბეთის პამპის მფლობელია;
1996-1997 წწ. კახეთის რეგიონალური კონტროლის პალატის ინსპექტორია;
1997-2002 წწ. საგარეჯოს საბადასახადო ინსპექციის შემოსავლების განყოფილების უფროსია, პარალელურად, 1998 წელს საგარეჯოს რაიონული საკრებულოს დეპუტატი.
2002-2003 წწ. რეგიონალური საბადასახადო ინსპექციის უფროსი.

ტორია.
2004 წლიდან დღემდე საგარეჯოს რაიონის საკრებულოს დეპუტატი და ჯერ ამავე საკრებულოს ადგილობრივი მსახურებელთა და შემოსავლების კომისიის თავმჯდომარე იყო, ამაჟამად კი სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.

– ბატონო შოთა, გავაცანით კომისიის წევრები.

– კომისიაში სულ ექვსი ვართ: კვლშიშვილი გელა, ცხვარიაშვილი კობა, გრძელიშვილი ივანე, ქახიასროსიშვილი ნელი, ქურთიშვილი ზურაბი.

– დამეთანხმებით, რომ მკითხველისათვის და საერთოდ, თქვენი ამომრჩევლისათვის არ იქნება ინტერესმოკლებული გავაცნოთ თქვენი კომისიის მუშაობის სპეციფიკა.

– რა თქმა უნდა. ჩვენი კომისია ხელმძღვანელობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 24 სექტემბრის №8 დადგენილებით დამტკიცებული „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულებით“. ჩვენი კომისია ამ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილებით აკონტროლებს საკრებულოს წევრთა მიერ საქართველოს კანონმდებლობის და საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მოთხოვნათა დაცვას, ამხადებს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის და უფლებამოსილებათა ცნობას, კომისია ასევე შეისწავლის საკრებულოს წევრის სტატუსთან საკრებულოს წევრის თანამდებობრივი და სამეწარმეო შეუთავსებლობის საკითხებს და შემდეგ საკრებულოს წარუდგენს შესაბამის წინადადებებს, განსაზღვრავს საკრებულოს კომისიებსა და დროებით სამუშაო ჯგუფებში საკრებულოს წევრთა პროცედურული წარმომადგენლობის თანაფარდობას, შეისწავლის ფრაქციის რეგისტრაციისათვის საჭირო მასალებს და საკრებულოს უახლოეს სხდომას წარუდგენს შესაბამის დასკვნას, საკრებულოს უახლოეს სხდომის ფრაქციის გაუქმების და ფრაქციის შემადგენლობიდან წევრის გასვლის ფაქტს, ცნობად იღებს ფრაქციიდან წევრის გარიცხვის, აგრეთვე, ფრაქციის თავმჯდომარისა და სხვა ხელმძღვანელი პირების არჩევის, გადაყენების, გადადგომის, ფრაქციის სადამფუძნებლო დოკუმენტებში შესწორებათა შეტანის შესახებ ინფორმაციას, რის შესახებაც აცნობებს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს უახლოეს სხდომებს, საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) განსაზღვრულ შემთხვევებში ასრულებს დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის ფუნქციას, შეიმუშავებს წინადადებებს თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოების დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ, საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს თვითმმართველი ერთეულის საპატიო ჯილდოების და წოდებების შემოღებისა და მინიჭების წესის დადგენის შესახებ, შეიმუშავებს წინადადებებს თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის, სამსახურებრივი ეთიკის, ადამიანური რესურსების მართვის, თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთათვის ატესტაციებისა და კონკურსების ჩატარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების საკითხებზე, კონტროლს უწევს აღნიშნულ სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას და გატარებულ ღონისძიებათა განხორციელებას, განიხილავს და შეიმუშავებს წინადადებებს საკრებულოს დებულების (რეგლამენტის), საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატის, გამგეობის, გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების დებულებათა პროექტების და მასში ცვლილებების შეტანის საკითხებზე, ასორციელებს საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) და საკრებულოს დავალებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსად დაინიშნა ნუგზარ ჭანტურია, რომელიც მანამდე ამავე სამსახურში მთავარ სპეციალისტად მუშაობდა.

ნუგზარ ჭანტურია დაიბადა 1979 წლის 27 აპრილს საგარეჯოში. 1995 წელს დაამთავრა საგარეჯოს №2 საშუალო სკოლა, ამავე წელს ჩაირიცხა და 2000 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2001-2002 წლებში მსახურობდა ჯარში. 2003 წელს დაიწყო მუშაობა საგარეჯოს პოლიციაში ოპერატიულ მუშაკად, 2004 წელს თეთრიწყაროს რაიონის პოლიციაში გამოძიებლად, 2005-2006 წლებში სამხედრო პოლიციის თბილისის მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს გამოძიებელია. 2008 წლიდან საგარეჯოს გამგეობაშია იურისტად, შემდეგ ახალგაზრდული განყოფილების მთავარი სპეციალისტია. 2010 წლიდან მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის

ბით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირები კომისიის მოთხოვნით ვალდებული არიან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში წარუდგინონ მას შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა მასალები, დაესწონ კომისიის სხდომებს, პასუხი გასცენ სხდომაზე დასმულ შეკითხვებზე და წარმოადგინონ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

– ბატონო შოთა, თუნდაც ვანვლილი სამი თვე სრულიად საქარისი შეიძლება იყოს, რათა ვისაუბროთ, კონკრეტულად, რა მუშაობა გასწია კომისიამ აღნიშნული დებულებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებით.

– რა თქმა უნდა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე ჩვენი კომისიის მიერ გატანილი იქნა და განხილული შემდეგი საკითხები:

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. კრანსაგორკისა და სოფ. ბოგდანოვკის სახელწოდების გადარქმევის შესახებ“. ამ შემთხვევაში ბოგდანოვკას მხისგული დაერქვა, ხოლო კრანსაგორკას სათაფლე ასევე, საკრებულომ განიხილა საკითხი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ და „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ სტრუქტურულ ცვლილებასთან დაკავშირებით.

საკრებულომ იმსჯელა ადმინისტრაციულ საჩივარზე, ჩვენი კომისიის მიერ იქნა შეტანილი საკრებულოს სხდომაზე საკითხი „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“. ვმუშაობთ საკითხებზე, რომლებიც შესწავლას, სათანადო დასკვნების მიღებას საჭიროებს, რათა შემდეგ სრულყოფილი სახით წარუდგინოთ საკრებულოს განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

შსპშრა თინა ილაური

ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეული პერსონალი



ანგელები. თუ აქეთ მათ ადგილზე კიდევ რაიმე სხვა საშუალება თავისა და ოჯახის სარჩენად?

– ვერხვიანელებს, თავიდანვე, ჯერ კიდევ ე.წ. საბჭოთა პერიოდიდან, ისე „დაგვეკვება“, რომ სხვისა ხელში შემყურე იყო ხალხი – მაშინაც ხან შეიქმნებოდა კოლექტივი, ხან დაიშლებოდა და კაკაბეთს შეუერთდებოდა ხოლმე. ასეთ „უპატრონობაში“, რაც იყო, ისიც დაიშალა და დაინგრა, ისე, რომ გარდა ტრადიციული სოფლის მეურნეობის დარგებისა, აქ სხვა რაიმე სამუშაო არ არის ხალხის დასაქმებლად.

მევენახეობა, ხენა-თესვა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, – აი, აქაურთა დასაქმებისა და საქმიანობის ძირითადი წყარო. სადღეისოდ სოფლებში აღრიცხულია 220-ზე მეტი მსხვილფეხა, 500-ზე მეტი თხა და ცხვარი, ჰყავთ ღორები, საჭაპანო ცხოველები, ფრინველი.

– განათლებისა და კულტურის ობიექტების მხრივ როგორია საქმე სოფელ-

რების შანსი მოგვცა. სადღეისოდ ვერხვიანელებს უკვე დავიწყებული აქვთ რა არის მასიური უწყობლობა და უშუქობა. დავიწყებას მიეცა მეზობელ სოფლებში სხვადასხვა ტრანსპორტით სასმელი წყლის მოსატანად სიარული. „სოფლის განვითარების მხარდამჭერი“ პროგრამის ხელშეწყობით ვერხვიანში მთლიანად რეაბილიტირებულია წყლის შიდა ქსელები, 24 საათიან რეჟიმში მოქმედებს წყლის სატუმბო ჰაბურდელი, მარტო „უდალანთ უბანში“ შარშან დამონტაჟდა 10 ახალი საუნზო ორკანი, შემოიღობა წყლის სათავე ნაგებობის ტერიტორია, მოწესრიგდა სანიადვრე არხები. მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით დიდი სამუშაოები ჩატარდა შარშანდელი წყალდიდობის შედეგების სალიკვიდაციოდ. არა და მაშინ ვერხვიანში ისეთი ნიადვრები მოვარდა ადგილზეც და ყანდაურის და კაკაბეთის მხრიდანაც, რომ იმ ნატანებს ჩვენი ძალებით რამდენიმე წლის განმავლობაშიც კი ვერ მოვერეოდით. მარტო კახეთის

ტექნიკა რამდენიმე დღეს მუშაობდა...
– წინა წლებთან შედარებით წინსვლა ნამდვილად არის ვერხვიანში და მომავალში ალბათ უფრო მეტი გაკეთდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის, ისე სხვადასხვა ფონდების მეშვეობით. როგორც ვიცი, კვლავ გაგრძელდება „სოფლის მხარდამჭერი“ პროგრამის მოქმედებაც. ეს პროგრამა ხომ ხალხის, ვერხვიანელების არის და ალბათ უკვე გადაწყვეტილია კიდევ, რას მოიმოქმედებთ ამ პროგრამით წელს ვერხვიანისა და ვერხვიანელების საკეთილდღეოდ...
– ეს პროგრამა მართლაც ხალხის და სოფლის პროგრამაა. ამ პროგრამით ხალხი თვითონ შეარჩევს და გამოყოფს სოფლისათვის საჭირო და პრიორიტეტულ მიმართულებებს. ამასთანავე, დასაქმების მხრივაც აქტიურად ერთვებიან ამ სამუშაოთა შესრულებაში, რაც შესრულებული სამუშაოთა მაღალი ხარისხიანობის გარანტიაა. რაც შეეხება სოფლის წლევენდელ პრიორიტეტებს, ვერხვიანელთა ამასწინანდელ თავყრილობაზე სულ სამი მიმართულება გამოიკვეთა – სანიადვრე არხების გაწმენდა, ზემოსხენებულის რკინიგზის ქვეშა ბოგირის გაწმენდა-გაღრმავება (აქ ნიადვრების ნატანების გამო შეუძლებელია მაღალგაბარიტიანი ტრანსპორტის გაყვლა) და მარტივი ტიპის სტადიონის მოწყობა, რისთვისაც გათვალისწინებულია 14980 ლარის სამუშაოების შესრულება.

– სპორტული მოედნის მოწყობას სად ბეგბავთ?
– ამისათვის ჩვენ შერჩეული გვაქვს ადგილი ყოფილი კოლმეურნეობის ეზოში.
– კიდევ რა ფონდების და პროგრამების მოქმედებაა მოსალოდნელი წელს ვერხვიანში?
– წინასწარ ამაზე რაიმის თქმა ჯერჯერობით არ შემიძლია; ისე, ალბათ დამეთანხმებით, რომ ვერხვიანში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი, რომ სოფელმა თანამედროვე სოფლისათვის დამახასიათებელი იერ-სახე მიიღოს. ამიტომ ვერხვიანელები დიდი მადლობლები ვიქნებით ქვეყნის მთავრობისა, თუკი ამ კუთხით კიდევ რაიმე გაკეთდება იმ ტენდენციის გათვალისწინებით, რაც ჩვენი ქვეყნის მთავრობას სადღეისოდ აქვს აღებული თანამედროვე ქართული სოფლების ასაღორძინებლად, ალბათ შორს აღარ არის ის დრო, როცა ვერხვიანელები სხვათა მსგავსად თავს კომფორტულად იგრძნობენ.

ვერხვიანი, ჩვენი მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებისაგან განსხვავებით, არც თუ დიდი ხნის ისტორიული წარსულის მქონე სოფელია. თუ რა იყო ადრე ამ სოფლის ადგილას, ამის შესახებ არავითარი ცნობები არ არის შემონახული ისტორიულ წყაროებში. ვარაუდის დონეზე, ამ ადგილას ადრე მცხოვრები ხალხი შაჰ-აბასის გამანადგურებელ შემოსევებს უნდა ემსხვერპლა და მოგვიანებით უნდა იყოს დასახლებული, ისევე როგორც ივრისპირეთის სოფლების უმრავლესობა.

ორი დიდი XX და XXI საუკუნეების გზაგასაყარამდე, მთის კალთებზე შეფენილმა პატარა სოფლის მოსახლეობამ კაკაბეთის თემის საკრებულოს შემადგენლობაში მყოფმა მოაღწია – თანმდევნი უწყლობის, უშუქობის, ამორტიზებული გზებისა და მოშლილი ინფრასტრუქტურით შეწუხებულმა.

2010 წლის 10 თებერვალი ისტორიული შანსი გახდა იქცა ვერხვიანისა და ვერხვიანელებისათვის. სოფელს ცალკე ტერიტორიული ერთეულის სტატუსი მიენიჭა და ამით აქამდე არსებულ პრობლემებთან გამკლავების შესაძლებლობა მიეცა. მაინც, თუ რით შეეგება ამ ისტორიულ თარიღს, ახლა უკვე განახლების გზაზე დამდგარი სოფელი, გვესაუბრება ვერხვიანის რწმუნებული ნუშზარ ჰიპაძე.

– როგორც მოგახსენებთ, ვერხვიანი ჩვენი მუნიციპალიტეტის თითქმის ყველაზე პატარა ტერიტორიული ერთეულია. მისი საერთო სარგებლობის სავარგულების მთლიანი ფართობი 908 ჰექტარია, საიდანაც 603 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებია. აქედან, ყველაზე მეტი – 156 ჰექტარი ვერხვიანელთა ძირითად საარსებო წყაროს – ვენახებს უკავია. საძოვრებს დათმობილი აქვს 190 ჰექტარი, საკარმიდამო ნაკვეთებს – 84, მრავალწლიან ნარგავებს – 11 ჰექტარი, დანარჩენი კი სახნავ-სათესი მიწებია. აქედან, 2012 წლის მოსავლისათვის 60 ჰექტარზე დათესილია საშემოდგომო ხორბალი, 10 ჰექტარზე – ქერი. მიმდინარეობს საგაზაფხულო ხენა-თესვა, ვენახების დაკავება. ისე, რომ ჩვეულებრივი გალხების ცხოვრებით ცხოვრობენ და საქმიანობენ სადღეისოდ ვერხვიანელები.

– სადღეისოდ ვერხვიანში მოსახლეობა რამდენია?

– 2012 წლის პირველი იანვრისათვის ვერხვიანში აღრიცხული იყო 210 კომლი – 560 მოსახლით: კოზმანაშვილები, ალელიშვილები, ჯიქიძეები, ჭიკაძეები, ცხოვრებაძეები.

– მევენახეობისა და მიწათმოქმედების გარდა კიდევ რას საქმიანობენ ვერხვი-



სოფლის კრებაზე

ში?

– ვერხვიანში მხოლოდ ერთი საგანმანათლებლო დაწესებულება – საბავშვო ბაღი (მენჯერი ნ. საგინაშვილი) ფუნქციონირებს, თხუთმეტი აღსაზრდელითა და ოთხი შესაბამისი პერსონალით. რაც შეეხება სასკოლო დაწესებულებებს, ადრე გვექონდა ერთი დაწესებულება (ოთხწლიანი) კლასების შენობა, რომელიც ყოფილი კოლმეურნეობის კანტონში იყო მოთავსებული, მაგრამ დროთა ვითარებისა გამო იგი მწყობრიდან გამოვიდა და ახლა აქაურ ბავშვებს კაკაბეთისა და ყანდაურის საჯარო სკოლებში უწევთ სწავლა-განათლების მისაღებად სიარული.

– ისე, რომ საბჭოთა პერიოდიდან „აქეთ“ კარგი არაფერი გადმოვიყვიათ, აღარც კოლმეურნეობის კანტონის შენობა, აღარც შენობა, აღარც ფერები და არაფერი, მარტო უშუქობა, უწყობლობა, მოშლილი ინფრასტრუქტურა...
– ნამდვილად ასეა, და დიდი მადლობა რაიონის დღევანდელ ხელმძღვანელ ობას, რომ ამ პრობლემების მოგვა-

რკინიგზის ქვეშ გამავალი სამინდვრე ხიდი შეიდაჯერ გაიწმინდა, რაზეც მძიმე

ფორტულად იგრძნობენ.

ნუშზარ ბივი ლაბახიშვილი



სოფლის კრებაზე

საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

სანამ ახალი პროექტი განხორციელდება



ერთ დროს საგარეჯოს ეს პატარა მონაკვეთი საგარეჯოს საამაყო და საინტერესო ადგილი იყო. აქ ამ ეზოში ღამაში სხვადასხვა ჯიშის ხეების ჩრდილში ხშირად თავს იყრდნენ საგარეჯოს ინტელიგენციის წარმომადგენლები, სკოლების მოსწავლეები, იმედა და ნანახი აღფრთოვანებულს ისტუმრებდა ყველას, ვინც კი მოისურვებდა ამ ეზოში შემობიჯებას, აქ შენობა-ნაგებობებში არსებული მასალის, გამოფენების, ექსპონატების გაცნობას... ბაღს სწავლული აგრონომი ემსახურებოდა, უფლიდა, ესათუებოდა და ღამის აქ ამ ბაღში გაატარა მან თავისი ახალგაზრდობის უღამაზესი წლებიც... დღეს კი ეზოს აღარსად აქვს მესერი, „კარები ყველგანააო“ – ასე მიპასუხა მუზეუმის ახალმა დირექტორმა კითხვაზე – საიდან აქვს ახლა შესასვლელი-მეთქი. ერთი შენობა-ნაგებობა საერთოდ ამორტიზებულია, მხოლოდ კედლებსა და ეყრდნობა წვიმა-თოვლისაგან დაცხრილი ჭერი. დაცხრილებულია ღამაში ცაცხვის, ნაძვის, ფიჭვის ხეები, ერთი ეგ არის, იასამანს უძალია და გაგიჟებული ყვავის, მასდა უხარია მხოლოდ ამ ეზოს ბინადრობა... თუმცა ახლახანს ხარება დღეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში ვიზიტით დღინაში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გია ჩალათაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი, ქვეყნის პარლამენტის წევრი საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან ზაზა გულიკაშვილი ეწვივნენ და მოსახლეობასთან საუბრის შემდეგ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა სტუმრებს მუზეუმში დათვალიერებინეს. აქ ამ პატარა შენობაში საგულდაგულოდ გამოფენილია ექსპონატებმა, ათასეული წლის წინანდელმა ნივთებმა მართლაც განცვიფრებაში მოიყვანა მნახველი. დიას, ეს ექსპონატები მხოლოდ ქართველებმა კი არ უნდა ნახონ, სხვა ერებმაც უნდა დაათვალიერონ, დარწმუნდნენ საიდან მოვდივართ ქართველები და ვინ ვართ! საამისოდ კი მართლაც დიდი მნიშვნელობის გეგმის განხორციელება დაიწყო აქ უახლოეს ხანში – ერთნაირად სახეს იცვლის ეს პატარა, ღამაში ტერიტორია. მანამდე?! მანამდე კი როგორც აგურ ორი ათეული წლის განმავლობაში უფრთხილდებოდნენ, ზედ დაკანკალდებდნენ ექსპონატებს, მტკივნეულად განიცდიდნენ იმ დანაკლისს, რასაც ავისმზრახველები აყენებდნენ მუზეუმს, დღესაც დარაჯად უდგანან თითოეულ ექსპონატს და ახალი ხელმძღვანელის დანიშნის დღიდანვე სამუშაო მოეპალათ, რის შესახებაც დღეს საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ბადრი ღრეცხია გვესაუბრება.

ბელი, სახალხო თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის რეჟისორი, მუსიკალური გამფორმებელი, მსახიობი, ბოლო პერიოდში მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დირექტორად დანიშნამდე იყო სახალხო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. 1988-1993 წლებში სწავლობდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კულტურის განხორციელებული ფაკულტეტზე. 2003 წელს საგარეჯოს სახალხო თეატრის 125-ე წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით დააჯილდოვეს ღირსების მედლით. არის ავტორი წიგნისა „საგარეჯოს თეატრი 125 წლისა“.

ოჯახური მდგომარეობა – დასაოჯახებული.

– მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მიმდინარე წელს იუბილარია – 50 წელი შესრულდება დღიდან მისი გახსნისა. საინტერესოა ცოტა რამ შეგვახსენოთ მისი ისტორიის შესახებ.

– მუზეუმს საფუძველი 1958 წელს ჩაეყარა. როგორც გადმოცემითაც ვიცით და მუზეუმის საარქივო ჩანაწერებიც მოწმობს, იმ დღიდანვე დაიწყო მოსახლეობაში საუბრები ექსპონატების შეგროვების შესახებ. მუზეუმში ოფიციალურად 1962 წლის ივლისში გაიხსნა და აქედან დაიწყო ექსპონატების ოფიციალური შეგროვება-ადრცხვაც. საგარეჯოელებმა და არა მხოლოდ საგარეჯოელებმა, მთელი რაიონის სხვადასხვა სოფლის მცხოვრებლებმა მუზეუმში შემოიტანეს ისეთი ნივთები, რასაც ჩანაწერების მიხედვით ვადგენთ. შეიძლება დღეს გაგიკვირდეთ და ალბათ მაშინაც გაუკვირდებოდათ, როგორ ელეოდა მისი პატრონი ამ ნივთს. მაგრამ, როგორც ჩანს მაშინდელი შეგნება და სწორედ იმ ნივთის ფასეულობა განსაზღვრავდა იმას, რომ ნივთი მხოლოდ მისი საკუთრება არ იყო და მისთვის დამთავალიერებულს თვალთან ერთად გული-სყურიც უნდა მიედევნებინა და აეხსნა, საიდან მოვდივართ ქართველები და მხოლოდ 20 საუკუნის არ არის ქართველი ერი.

მუზეუმის პირველ დირექტორად ისტორიკოსი ალექსანდრე ელერდაშვილი დაინიშნა, შემდეგ სხვადასხვა დროს მისი დირექტორები იყვნენ რამან ლაფანიშვილი, აბრამ სინჯიაშვილი, ილია ქვლივიძე, მზია დარბაისელი, ნელი ქაიხოსროშვილი, ჯიმშერ მაბილაშვილი, თინათინ მეხვრიშვილი, გელა დოლენჯაშვილი, ბექა დოლენჯაშვილი.

– დღევანდელი თანამშრომლების შესახებ რას გვეტყვი?

– მუზეუმის ფონდების მცველია ქეთევან ქურთიშვილი. პროფესიით ისტორიკოსია, 1986 წლიდან მუშაობს მუზეუმში ჯერ მეცნიერ-მუშაკად, შემდეგ კი დღემდე ფონდების მცველია. მუზეუმის ექსპერტ-სამმლოლია ლალი გოგიტაშვილი – ისტორიკოსი. ლალი 15 წელია მუზეუმში მუშაობს. ცისმარ მაბილაშვილი ჯერ საგარეჯოს სარაიონო ბიბლიოთეკის დირექტორი იყო, ახლა კი მუზეუმის მეთვალყურეა 2004 წლიდან. ჩვენი მუზეუმის სამხეო ნაწილის გამგეა მარინე ილაური, რომელიც 2004 წლამდე წლების განმავლობაში საგარეჯოს რაიონის კულტურის განყოფილების მთავარი ბუღალტერი იყო.

– მუზეუმის დამთავალიერებლებისგან ყოველთვის კითხვაა შთაბეჭდილებების ჩანაწერი, ყველაზე საპატიო სტუმრის შთაბეჭდილება თუ არის შემონახული?

– ჩანაწერების წიგნი ამ შემთხვევაში 80-იანი წლებიდან არის შემორჩენილი. მასში, თქვენც მიაქცევდით ყურადღებას უფრო მეტად საგარეჯოს საშუალო (ამჟამად საჯარო) სკოლების მოსწავლეოა ჩანაწერებია. 2000 წლის 2 ივნისს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სტუმარი და დამთავალიერებელი ყოფილა საფრანგეთიდან ქართველი ემიგრანტი მამია ბერიშვილი, რომელიც აღფრთოვანებულია აქ ნანახი ექსპონატებით და მუზეუმის თანამშრომელთა სტუმართმოყვრული დახვედრით.

– ბადრი, თქვენ სულ ახლახან დაინიშნეთ მუზეუმის დირექტორად, ბრძანებულება 30 მარტით თარიღდება, სულ რაღაც ერთ კვირაში მართლაც საპატიო სტუმარი მიიღეთ. საგარეჯოელები ხუმრობენ ბადრი დრეცხია და მის თანამშრომლებს ერთადერთი საქართველოს პრეზიდენტის სტუმრობა თულა გააკვირვებთო, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ვეც ალბათ განახლებული – რეაბილიტირებული მუზეუმის და კეთილმოწყობილი სკვერის გახსნაზე მოხდება. მართალია, პირველი სამუშაო კვირა სტუმრების მიღებით დაიწყო, მაგრამ საინტერესოა ახალმა დირექტორმა პირველ რიგში რა მუშაობა დასწავით?

– სიმართლე ვითხრათ ასეთ საპატიო სტუმრებს მართლაც არ ველოდი. სასიხარულოა და არა მარტო ჩემთვის და ჩემი თანამშრომლების მათი სტუმრობის მიზეზი და მიზანიც – მათ გაგვაცნეს ის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს შენობების რეაბილიტაციას, ტერიტორიის შემოღობვას და აქ ისეთი სკვერის მოწყობას, რომელიც მიიღებს ხანდაზმულსაც და პატარასაც, მოზარდსაც და ზრდასრულ ადამიანსაც თავისი გასართობებითა და ატრაქციონებით. მათი სტუმრობა ნამდვილი, რეალური ბეჭედი იქნება, რომ სამუზეუმო ექსპონატებს ნამდვილად ეშველება, მუზეუმის შენობებს ახალი სახით ვიხილავთ, თორემ ბოლო 20 წელიწადია გაიძარცვა ნუმიზმატიკის განყოფილება, ერთ დროს აქ საინტერესო და ფასეული ნივთები ვინ იცის უკეთურთა ხელით სად არის და ან რომელი მუზეუმის საგამოფენო დარბაზს ამშვენებს.

– მაინც რა ექსპონატებია დღეს მუზეუმში დაცული?

– საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში თავმოყრილია ის მასალა, რომელიც მოპოვებულია რაიონის ტერიტორიაზე. დიდ ინტერესს იწვევს ბრინჯაოსა და რკინის ხანის ექსპონატები, საოჯახო და საყოფაცხოვრებო ნივთები, საბძოლო და სამეურნეო იარაღები. მუზეუმში თავმოყრილია ავტობიოგრაფიები იმ ადამიანების შესახებ, რომელთა ცხოვრება ამ დღევანდელ ეხება რაიონის წარსულსა და აწმყოს. აქ ინახება საგარეჯოს სახალხო თეატრის მიერ თავისი არსებობის მანძილზე დადგმულ წარმოდგენათა აფიშები. ინახება ფოტო-მასალა, ფოტო-დოკუმენტები, მოკლემეტრაჟიანი ფილმები.

მუზეუმში დაცულ ექსპონატთა შორის ყურადღებას იპყრობს ეროვნული ტანსაცმელი, დასაკრავი ინსტრუმენტები: დიპლიპიტო, დაირა, ფანდური. ვერცხლის ქამრები, ნუმიზმატიკა, სპილენძის ნივთები. დიდ ინტერესს იწვევს ჯაჭვის პერანგი, რომელიც მოძიებულია უჯარმაში. აქ ექსპონირებულია სამუშაო იარაღები: „კაკაბურა“ გუთანის – განთქმული მთელს საქართველოში თავისი სიმსუბუქით, ჭაპანი, კვერი, ხევისურული „ანანა“, ხის ორთოთა, ცხავე, ცხრილი. აქვე ნახვენებია დიდ სამაშალო ომში მონაწილე ჩვენი რაიონის მებრძოლების სია და სურათები.

მუზეუმის ექსპოზიცია იწყება ქვის ხანის იარაღებით, საინტერესოა ქვის „ხელ-



ცული“. მუზეუმში ინახება ბრინჯაოს ხანის ექსპონატები: ქალის თმის სამკაულები, ჯაჭვები, გვერგვი, სამაჯური, ქინძისთავები, მძივები, ბეჭდები, სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭელი. საინტერესოა თიხის კათხა, რომელიც ძვ.წ-ის 28-27 საუკუნით თარიღდება.

ძვ. წ-ის IX-VIII სს თარიღდება ბრინჯაოს გრავირებული სარტყელი, რომელსაც ხმარობდნენ მოძრები. დიდ შთაბეჭდილებას ახდენს დამთავალიერებულზე ბრინჯაოს მხედარი, რომელიც ძვ.წ III-II ათასწლეულით თარიღდება.

აქვე ინახება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭელი, ანტიკური ხანის საოჯახო ქოთნები, რკინის ექსპონატები.

– ადრე ვეახსოვს თანამშრომელთა წუხილი დაკარგული ექსპონატების შესახებ. ალბათ აღრიცხულია, რა არის დაკარგული?

– დიას. გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ დაკარგულია ივანე მჭედლიშვილის საარქივო მასალებიდან 20 ფურცელი, ზაალ ბილანიშვილის საარქივო მასალები – რევოლუციამდელ საგარეჯოზე – 144 ფურცელი, და კიდევ 121 ფურცელი. 6 ფურცელია დაკარგული საარქივო მასალების რევოლუციის შემდეგი პერიოდის საგარეჯოზე. ილია ბახტაძის მოგონებები საგარეჯოზე – 18 ფურცელი, საარქივო მასალები საგარეჯოზე – 109 ფურცელი, გონიტაშვილის მოგონებები თოხლიაურზე, პროფესორ ლეონ მეღვისედიქბეგის 1929 წლის საარქივო მასალები „კაწარეთის სამების ტაძრის მხატვრობისათვის“, ასევე, დაკარგულია ზაალ ბილანიშვილის მიერ 1959 წელს დამუშავებული ივანე და ალექსანდრე ჯაბადრეცის არქივი.

როგორც უმთოაც აღვნიშნე, ჩვენი მუზეუმი ერთ-ერთი თვალსაჩინო, ყველაზე მდიდარი მუზეუმი იქნებოდა, ყველაფერი რომ დაუბრუნდეს – ის, რაც აქედან გაიტანეს, მოიპარეს. ჩვენიან ყოფილა ასევე „ნაომარი გორის“ ექსპონატები, რომლებიც უდაბნოს არქეოლოგიური მუზეუმიდან გადმოიტანეს. დემეტრე ინეოს და ყველამ სინდისს ქენჯნა იგრძნოს და დააბრუნოს მუზეუმში აქედან გატანილი ნივთები. მერე როგორ დასჭირდება რეაბილიტირებული შენობების საგამოფენო დარბაზს!

– დემეტრე გისმინოთ! მზაშობა თინა ილაური



პრეზიდენტის სპიკერისადმი

მთავარია მიზანდასახულობა

ეს ნაზი გოგონა ოდნავ შესამჩნევად ღიმილით რომ შემოგვცქერის საგარეო უწყისი ნელი გულიკაშვილი – უმცროსია. ჩვეულებრივი გოგონაა ერთი შეხედვით, მაგრამ იმ ჩვეულებრივობიდან რაღაცნაირი შარბით მაინც გამოირჩევა. ყოველთვის მოზომილია, დაფიქრებული, უფრო სწორად კი ჩაფიქრებული და შესამჩნევად მორიდებული. რომ იტყვიან, 19 წლის გოგონას კვალობაზე იქნებ ზედმეტად დადინჯებული და ზრდასრული ადამიანივით მოაზროვნე. რა ქნას, ეს თვისებები ჯერ ისედაც თავისი გვარიდან გადმოეცა გენეტიკურად, შემდეგი ფაქტორები კი ბევრისთვის გაგონებისთანავე გამოვლენილი. თვითონ 4 წლიანხვედრის იყო, მისი მომდევნო გიორგი – 2 წლის და სამი თვის, როცა დედა – მაიკო იმქვეყნის მუდმივი ბინადარი გახდა. შემდეგ კი, ამ ორი წლის წინ მამიკოს უმტყუნა გულმა. ხოდა, რა გასაკვირია, 19 წლის გოგონა ნადრევი დადინჯებული რომ იყო?! თუმცა, მოდი, ერთად გავესაუბროთ შრომისათვის ნაზ გოგონას, ერთად მოვუხმინოთ მის იმ დიდ წარმატებებს, რომლებსაც სწორედ რომ მამიდის მხარდაჭერით, თავისი ნიჭითა და რუდუნებით აღწევს და მთლიანად მშობლებს უძღვის.

მაშ ასე, ამ გოგონამ საგარეოს №2 საჯარო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ სწავლა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე, სამართლის განხრით დაიწყო. ამჟამად მეორე კურსზეა.

– ნელიკო, პროფესია, რომელსაც შენ დღეს ეუფლები, ვისი რჩევით, ვისი რეკომენდაციით შეარჩიე, იქნებ შენ თავად გადაწყვიტე?

– ბავშვობაში ჯერ ბაღყინობაზე ვოცნებობდი, შემდეგ ექიმობა მომწონდა, თითქოს არჩევანის წინაშე ვიყავი და ვერ ვწყვიტდი, სად, რა ფაკულტეტზე ჩამებარებინა.

ბინა. თითქოს ეკონომიურზე შევჩერე არჩევანი, მაგრამ როდესაც მამას ვუთხარი, ეკონომისტი უნდა გაეხდეთ, მან მითხრა: ძალიან მინდა ჩემი ერთ-ერთი შვილი იურისტი გამოვიდესო. დაახლოებით ერთ კვირაში მამა მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი სიტყვები ანდერძივით დამრჩა და მეც გადავწყვიტე იურიდიულზე ჩამებარებინა და აი, ჩავაბარე კიდევ.

– ნელიკო, შენ დღეს პრეზიდენტის სტიპენდიანტი ხარ, გაქვს ოქროს მედალი, გრძნობ, რომ შრომა ფასდება, ხომ?

– შრომა ნამდვილად ფასდება. მე ეს დამანახა ჩემმა უძილო ღამეებმა. ძალიან ხშირად მინდოდა ბავშვებთან გასვლა, თამაში, მაგრამ ამის დრო არ მრჩებოდა და ჩემს თავს ვანუგეშებდი დავით გურამიშვილის სიტყვებით: „სწავლის ძირი მწარე არის, კენჭოში გატკბილები“. არადა, იმ პერიოდში მე ძალიან მჭირდებოდა მეგობრებთან ურთიერთობა, იმიტომ, რომ ჩემს სკოლის დამთავრებას დაემთხვა მამის გარდაცვალება. ძალიან დიდი როლი ითამაშა მამიდამ, რომ მე დეპრესიაში არ ჩავვარდნილიყავი. გადავწყვიტე მთელი ჩემი ძალები მომეკრიბა, და ყველა წარმატება, რასაც ცხოვრებაში მივაღწევდი, ჩემი მშობლებისათვის მიმეძღვნა და გამიმართლა კიდევ და დამიფასდა. სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე, 1 წელია რაც პრეზიდენტის სტიპენდიანს ვიქნები. სამომავლოდ კიდევ დიდი გეგმები მაქვს. ისე, ცხოვრებაში მიზანდასახული ვარ.

– შენ იმ ნელი გულიკაშვილის მოსახელე, ძმისშვილი და შვილობილი ხარ, ვისაც საგარეო, კახეთი, მთელი საქართველო იცნობს.

– მე ვამაყობ ჩემი სახელითა და გვარით, რადგან მე იმ ქალის სახელსა და გვარს ვატარებ, რომლის კარგკვალობაზე, მის დიდ ადამიანობაზე და ნიჭიერებაზე უამრავი ადამიანი ლაპარაკობს. მამიდა ძალიან

ძლიერი და დიდი ნებისყოფის ადამიანია. ჩვენს ოჯახში მამიდაჩემის მიერ განვლილი წარმატებული ცხოვრების უამრავი ნივთი და საბუთი ინახება, რითაც ძალიან ვამაყობ. როდესაც სკოლაში მივედი, მასწავლებლები ყოველთვის მეუბნებოდნენ: – შენ ისეთი მამიდა გყავს და იმისთანა ქალის მოსახელე ხარ, გვჯერა, რომ არ შეარცხვენო. მამის მე ამას ვერ ვცნობიერებდი იმიტომ, რომ პატარა ვიყავი და ახლა ვგრძნობ, რამხელა პასუხისმგებლობა იყო მეორე ნელი გულიკაშვილი. უამრავ ცნობილ ადამიანს აქვს მიძღვნილი ლექსები მამიდასადმი. წერს ლამაზ სიმღერებს, რომლებიც ხალხს მოსწონს. მე არ მეგულება კიდევ ისეთი გულშემატკივარი ქართული კულტურის, კერძოდ, ქართული სიმღერისა, როგორც მამიდაჩემია. ძალიან ბევრი შემომნატრის და მეუბნება: ნელიკო, ნეტა შენაირი მამიდა ჩვენც გვყავდესო. მამიდა ისე ფანტასტიკურადაა შეყვარებული თავისი ქვეყნის ისტორიაზე, რომ როდესაც ვაბარებდი და უნივერსიტეტების ჩამონათვალი ჩავწერე, მან თელავის უნივერსიტეტზე ჩამაწერინა და მითხრა: „მე ძალიან ბედნიერი ვიქნები და ვიამაყებ, შენ თუ თელავის უნივერსიტეტში მოხვდები, თელავში, სადაც დაიბადა და გაიზარდა პატარა კახი“ და ახლა მე მართლაც ბედნიერი ვარ, რადგან ყოველდღიურად მაქვს ურთიერთობა იმ ადამიანებთან, იმ საზოგადოებასთან, რომელთაც ტკივილამდე უყვართ საქართველო, ყოველივე ქართული, ვაჟაკცური, ადამიანური. დავაბიჯებ თელავის იმ ქუჩებსა და უბნებში, სადაც ქართველი, კახელი თავადების და მეფე ერეკლეს ჩამომავალნი დააბიჯებდნენ და დღესაც დადიან.

მამიდაჩემი ჩემთვის ყველაფერია. ის ჩემთვის დედაც არის, მამაც, ერთგული მეგობარიც, რომელსაც ყველაფერს ვუამბობ და ბოლოს – რაც კარგია ჩემში, ყველაფერი მისი დამსახურებაა.

– შენ „ჩინარის“ წევრი ხარ. როგორია მამიდა, როგორც ანსამბლის ხელმძღვანელი?

– ყველასათვის ცნობილია, რომ მამიდა ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „ჩინარის“ ხელმძღვანელია, სადაც უკვე მეორე წელია მეც ვმღერი.

მამიდა კარგი ხელმძღვანელია, ცოტა მკაცრიც არის. უზომოდ არის შეყვარებული თავის საქმეზე და ხშირად გაცივებული ვრჩები, ბევრჯერ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა იგი ცუდად ყოფილა, მა-



გრამ ისეთი ენერგიით, მონდომებით ჩაუტარებია რეპეტიცია, ვერავის შეუმჩნევია მისი ცუდად ყოფნა. ზღვა სიყვარული შეუძლია, არის ძალიან კეთილი, თავისი საქმის კარგი მცოდნე, მომთხონი, ძალიან გემოვნებიანი და საოცრად კარგად ესმის მუსიკა. უკვდუნს და ყველასგან მოითხოვს იმ საქმისადმი დიდ პატივისცემას, რასაც თითოეული ემსახურება.

– პობი, საყვარელი წიგნი...

– როგორც ყველა ადამიანს, მეც მაქვს ჩემი პობი – მიყვარს კითხვა, მუსიკა და ცეკვა. ჩემი საყვარელი წიგნებია: კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, ლევან გოთუას „გმირთა ვარაში“. საზღვარგარეთის ლიტერატურიდან გამოვიყოფდი ალექსანდრე დიუმას „დედოფალ მარგოს“ და სტენდალის „წითელი და შავი“, თომას მანის „ბუდენროკებს“ და ა.შ.

– ნელიკო, მიზანი, რომელიც სამომავლოდ გაქვს დასახული.

– რაც შეეხება მიზანს, ყველა ადამიანს გააჩნია თავისი მიზანი. მე უამრავი ოცნება და გეგმა მაქვს ცხოვრებაში დასახული და დიდი სურვილი მაქვს ვიყო წარმატებული იურისტი, უფრო კარგად ვისწავლო, გავამართლო ჩემი ახლობლებისა და გულშემატკივრების იმედები, გავახარო მამიდა ნელი და ჩემი ყველა წარმატება ჩემი მშობლების ხსოვნას მიუძღვნა.

შაშურა თინა ილაშრო

სერტიფიკატები სიღერის ანსამბლებს



რა მარტო საგარეოში, მთელი ქვეყნის სახელითაა ცნობილი ჩვენი მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლების ვაჟთა: „გარეჯი“ (ხელმძღ. მ. ივანელაშვილი), „კაკაბელების“ (ხელმძღ. ნ. გიგოშვილი) და უდაბნოს ქალთა ანსამბლ „კასლეთილას“ (ხელმძღ. მარგარიტა) სახელი. მათი რეპერტუარი უკვე რა ხანი მოწონებით სარგებლობს და აღიარა ქართველმა თუ სხვა მსმენელმა.

აღნიშნული სიყვარულისა აღიარების დადასტურებაა ამ ანსამბლებისათვის

ფოლკლორული ანსამბლების წოდების მინიჭება, რომლის დამადასტურებელი სერტიფიკატები მათ პირადად საქართველოს კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ გადასცათ თელავის სახელმწიფო თეატრში 4 აპრილს გამართულ შეხვედრაზე.

მუნიციპალიტეტის ანსამბლების თელავში გამართულ დაჯილდოვების ცერემონიაზე ესწრებოდა საგარეოს კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორი ბ-ნი ბესიკ ლვინაშვილი.



„იორდალეული“ პოეტი

ჩვენი თანამემამულე რომან ზუკაკი იშვილი გოგლა ლეონიძის, რეზონანიშვილის, იოსებ იმედაშვილის მშობლიურ მიწაზე დაიბადა, აქ აიღვა ფეხი, აქ დაეკავა, ამ ბუმბერაზ ადამიანთა მსგავსად „იორდალეულია“ და ამიტომ მათმა შემოქმედებამ ასახარდოვა მისი პოეტური სული.

რომანი თავისი მეოთხე პოეტური კრებულის შესავალში წერს: „ვწერ ტკივილამდე მისული გრძნობით უფრო რიგითს, ვიდრე ბედისაგან გამორჩეულ ადამიანებზე. ვწერ უფალთან შეხვედრაზე, თუმცა ზუსტად არ ვიცი, როდის შემომხვდა... ჩემი ეს წიგნიც შეძახლია, რომელიც ერთადერთი სიტყვისაგან შედგება: „მიყვარხართ“...“

რომან ზუკაკი იშვილის შემოქმედება თავად ავტორს ჰგავს, მასავით უავეულო და უავსაქმოა, ადამიანთმოყვარე და პატრიოტული, ოპტიმიზმითა და სიყვარულით სავსე, სიამოვნებისა და სიყვარულის წყარო...

დაახლოებით 35 წელიწადია, რომანი პედაგოგია. ფრანგულ-ინგლისური ენების სპეციალისტმა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე მშობლიური სოფლის სკოლაში დაიწყო მასწავლებლად მუშაობა და სულ მალე სკოლის ხელმძღვანელობაც დააგვიდა. დირექტორად წარმატებული მუშაობისათვის მისი ქება-დიდება ყოველთვის ისმოდა. თანამშრომლობდა ჟურნალში „ნიანგი“ და დღესაც მის იუმორისტულ ნაწარმოებებს ხშირად ვკითხულობთ გაზეთში „კვირის პალიტრა“. რომანი წლების განმავლობაში თანამშრომლობდა აგრეთვე რაიონულ გაზეთებში. ამ ბოლო წლებში კი მხედველობის გაუარესების გამო საყვარელ პროფესიას, პედაგოგობას, დიდი გულსიტკივილით და დროებით ჩამოშორდა. სამაგიეროდ რომან ზუკაკი იშვილის პოეზია ზრდის მომავალ თაობებს ღირსეულ მამულიშვილებად. თმატურად მრავალფეროვან მის შემოქმედებაში უმთავრესი მაინც სამშობლოა, ლექსებით ეფერება უკუდავებასთან იაუნანით მოსაუბრე საქართველოს და ამ სიყვარულის პასუხი იყო სწორედ მისი შემოქმედებითი საღამო, რომელიც საქართველოს მწვერდლთა კავშირმა საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში გაუმართა.

საღამო მიჰყავდა პოეტ თემურ ჩალაბაშვილს (იგი რომანის მეხუთე წიგნის რედაქტორიცაა).

„სინანულის დღე“ – 1994 წ. „სკამკაცა“ – 2002 წ. „ბეწვის ხიდი“ – 2005 წ. „შეხვედრები უფალთან“ – 2010 წ. „იცოცხლე დიდხანს“ – 2011 წ.



აი, ის ხუთი პოეტური კრებული, რისთვისაც რომანი მკითხველმა შეიყვარა და ხალხმრავალ დარბაზში მისი მისამართით თბილი სიტყვები ისმოდა.

ბალაოთარ არაბული, საქართველოს მწვერდლთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე: „პოეტი, აღმზრდელი, სამაგალითო მამულიშვილი – ასეთია პატრიოტული შემოქმედის მოკლე დახასიათება. რომანი მწვერდლთა კავშირის წევრი გახლავთ. მისი პოეზია სიხარულისა და სიამოვნების წყაროა. რომანი გოგლასავით „ბროლნამსხერვე ივრის თვალსამოთხე ნაპირებში“ გაიზარდა, სიტყვებსაც მასავით „ღურჯთვალა იებში, „ყაყაჩოგარეულ ჯეჯილებსა და მზით ამოვსებულ თავთავებში“ კრფს. იგი ერთგულობს ადგილის დედასა და ყრმობის ემბაზს, თავის პირველ პოეტურ სამყაროს. მიხარია, ამ ლამაზ სოფელს ჩვენი კავშირის წევრი რომ ამშვენებს.“

ემზარ კვიციანიშვილი, პოეტი: „კარგად ვიცნობ რომანის პოეზიას, რა ლამაზად წვდება ცხოვრების აზრსა და ფსიქოლოგიურ საწყისებს. როგორ უყვარს შინაგანად განცდილი ქართული სიტყვები. თითქოს პირველად აღმოაჩინაო, სიხალისის ისეთ ფლგურს აძლევს ირგვლივ ყველაფერს.

რომანს შეუძლია, დაგანახოთ, როგორ ქარავს ჭაღარა ქარი ნისლ-

ის ფარდაგს, როგორ დადის ჭაღარაში ვერცხლის ჩოხით პაპა ზამთარი, როგორ გაგორდა მისი ლაღი სიცილით „ყაყაჩოების ვნებით დაცვარულ ხასხასა ველზე.“ ამიტომ შეიყვარა იგი მკითხველმა.

თემურ ჩალაბაშვილი, პოეტი: „რომანი ნაღდი ქართველი ეროვნული პოეტი. წერს სადად, ადამიანური ენით. იგი ტკივილს ტკივილად განაზოგადებს და სიხარულს – სიხარულად. მისი განცდები ალაღი და უშუალოა. რომანი მართლა პოეტი. მისი შემოქმედებითი თვალსაწიერი მაინც სამშობლოა.

მისი გულისთვლები ძალიან შორს იყურებიან. არც ტრაგიკული, მისტიური წილსვლები აკლია და არც მშვენიერი, ამაღლებული ლირიკული ვარიაციები. „შენს თავს მივანდობ ქედებს და ერთ ანკარა წყაროს – ჩემი სიხარის გემებს – ვერ გპოულობს და წვალობს.“ რა მშვენიერი, სუფთა, სიყვარულიანი ამოძახილია. ეს სტრიქონები მის პოეტურ კრედიტს კი გამოადგობდა.“

ვაჟა ღურბლიშვილი, კომპოზიტორი: „ოცდაათი წელიწადია მე და რომანი ვმეგობრობთ. იგი გიორგი ლეონიძის მიწაზე დაიბადა და აქაურმა მწკროლავმა, ვერცხლისფრად აზვირთებულმა იორმა, ფერადფეხიდანაზნა მინდვრებმა, კამკამა ცამ და ტყემლის ყვავილების ნამქერმა ასწავლა ქართული ლექ-

სი მუსიკა. როდესაც მის პოეზიას ვკითხულობ, სიმღერას ვუსმენ. სწორედ ამან განაპირობა, რომ მის ტექსტებზე 30-მდე სიმღერა დაეწერა, რომლებიც სხვადასხვა დროს შეასრულეს: რობერტ ბარბიშვილი, თემურ წიკლაური, ლელა წურწუშიაძე, მანანა თოდუაძე, ლანა ხუროშიაძე. რომანის ლექსებზე დაწერილი სიმღერების მიხედვით გადაღებულია ორი კლიპი: „სინანულის დღე“ (მღერის თემურ წიკლაური) და „საქართველო“ (მღერის თამარ ხუროშიანი).“

წესდით
ეს სიყვარულზე მეტია,
ეს სიყვარულზე მეტია,
საქართველო არის ცუდად,
საქართველო ნათლის წვეწოა.
ტყუარაზე უკეთესა,
შენი სიყვარულზე ქვედა.
ღულს და გულსულის კაჭიანება,
თავ შეუღდი არ ღაფია.
კი არ ეთქვი, საბუღალა
ღაფიანა,
შეც სიყვარ კაჭიანება.
საქართველო შენი კუთხა და
თანდაყოლილი მეტია
რომან ზუკაკი იშვილი.

რომანს შემოქმედებითი საღამო მიულოცა პატრიარქოს კულტურის სახლის მენეჯერმა ქნმა თინათინ ბერძენიშვილმა. მან აღნიშნა, რომ პოეტისა და მასწავლებლის საფიქრალი სამშობლო, სიცოცხლე, ოპტიმიზმი, სიყვარული, წუთისოფელია. მის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ადამიანთმოყვარეობას. „თუ სტრდები თუნდაც ერთ კაცს, კი ღირს ყოფნა ქვეყანაზე.“ – წერს იგი და გვაფრთხილებს – წუთისოფლის წუთობის გამო სულმოკლეობის არ გვაქვს უფლება, თუ ადამიანი ხარ, სულს ვერც მონობა და ვერც მეფის ტახტი ვერ შეგიცვლის. „შენი სიცოცხლე თუ სიყვარულში არ დაიღია, მას ყორანივით სიძულვილი ამოგთხრის თვალებს.“

რომანს შემოქმედებითი საღამო მიულოცეს საქართველოს ფილარმონიის დირექტორის მოადგილემ ბნმა ლადო ხელაშვილმა, ნინოწმინდელმა სახალხო მთქმელმა, ფოლკლორული რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატმა შადვაოკინაშვილმა. დასასრულს პედაგოგმა და პოეტმა რომან ზუკაკი იშვილმა თავად წაუკითხა საკუთარი ლექსები სტუმრებს.

ლილია არჩვაშვილი

ალექსანდრე ელერდაშვილი

ტოპონიმია ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ქართულად ნიშნავს ადგილის სახელწოდებას, ანუ ქართულად „ადგილის დედას“. ყველა გეოგრაფიულ სახელწოდებას აქვს თავისი ისტორია, თანაც – სახელოვანი ისტორია, რითაც ამაყობს. ასეთ ტოპონიმს, „ადგილის დედას“ წარმოადგენს საგარეჯოს და გიორგიწმინდის გზასავარზე აგარაკი და მამული „კოკონაური“, რომელიც ამჟამად მთლიანად საგარეჯოს საზღვრებშია მოქცეული.

დღევანდელი „კოკონაური“ მდებარეობს ქალაქ საგარეჯოს სამხრეთ-აღმოსავლეთით და მისი საზღვრებია ჩრდილოეთით კახეთის მთავარი საავტომობილო გზატკეცილი, რესტორან „სახალხო სახლიდან“ „აღნიჯამდე“, აღმოსავლეთით სადგურის დასახლებამდე, დასავლეთით რესტორან „სახალხო სახლიდან“ ადგილ „კოსტაფემდე“ და ასევე ქ. საგარეჯოს კახეთის რკინიგზის დასახლებამდე; სამხრეთით რკინიგზის სადგურის დასახლებამდე და ადგილ „ნასადგომარის“ დასახლებამდე.

„კოკონაური“ გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ჩვეულებრივ აგარაკ-მამულს წარმოადგენდა, სადაც საგარეჯოელ და გიორგიწმინდელეებს ვენახები და ბაღბოსტნები ჰქონდათ გაშენებული, ხოლო

„კოკონაური“

მას შემდეგ, რაც დაბა საგარეჯო 1962 წლის ბოლოს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გადაიქცა, აგარაკ „კოკონაურის“ ცხოვრებაშიც ახალი ერა დაიწყო. მას შემდეგ, რაც საგარეჯო ჯერ სოფლიდან დაბად გადაკეთდა 1954 წლიდან, ხოლო – ქალაქად 1962 წლიდან, საგარეჯოს მოსახლეობა გაიზარდა, როგორც მოსახლეობის ბუნებრივი დემოგრაფიული მატებით, ისე მეხოტბელი სოფლებიდან მოსახლეობის საგარეჯოში დასახლებით, აგარაკი „კოკონაური“ ფაქტურად შეერწყა ქალაქის ფარგლებს და მისი შემადგენელი ნაწილი გახდა.

თვით ტოპონიმი „კოკონაური“ წარმოსდგება სიტყვა „კოკონაურისგან“ რაც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთ-ერთი განმარტებით ნიშნავს აბრეშუმის ყაჭის ჭიის ერთ-ერთი სახეცვლილების კოკონა ჭიას. როდესაც აბრეშუმის ჭია-კოკონა ჭიის ზრდის პროცესში ექცევა, მას განსაკუთრებული ხარისხის ფოთლით კვებავენ, რომელსაც უფრო მეტი პლანტაციები განსაკუთრებული ნიადაგის შერწყმას და მოვლას საჭიროებდა. სწორედ ასეთი ნიადაგის შემცველი იყო მიწის ის ნაკვეთი, რომელსაც უხსოვარი

ჩვენს ქალაქში

გადამხტარიყო. თვითონ ამ დღესასწაულის სახელწოდება „ჭიაკოკონობა“ მთლიანად მეაბრეშუმეობასთან არის დაკავშირებული, საბას ლექსიკონის მიხედვით „ჭია“ ნიშნავდა აბრეშუმის ჭიას, ხოლო კოკონა ამ ჭიის საჭურედ მომზადებულ მატლს (ჭიას), რომელიც საჭურედ იყო გამზადებული, რათა აბრეშუმის პარკად გადაქცეულიყო, ამიტომ ეს კოკონა იმდენად პატრიარქები, საყვარელი არსება იყო, რომ მის პატრიარქებზე გიორგიწმინდისა და საგარეჯოს ყველაზე ნაყოფიერ მიწას, სადაც თუთის პლანტაციები იყო გაშენებული „კოკონაური“ ეწოდა.

გადიოდა წლები და საუკუნეები, იყო მშვიდობა და აღორძინება, იყო ომები და გაჭირვება, მაგრამ მეაბრეშუმეობა საქართველოში იყო ერთ-ერთი წამყვანი დარგი და ვალუტის შემომტანი მთავარი წყარო, ამიტომ მეაბრეშუმე სპეციალისტებიც მრავლად იყვნენ გარე-კახეთიდან. მეაბრეშუმეობის განვითარებასთან იყო დაკავშირებული გარე-კახეთში ჭიაბერაშვილების გვარის წარმოშობაც, რომელიც ისე დაწინაურდა თამარის ეპოქაში, რომ ერთ-ერთ უძლიერეს ფეოდალურ საგვარეულოდაც კი ჩამოყალიბდა.

გაბრიელა შამღვი ნომირში

არსენ მაკოკიშვილი - 100

ლეგენდარული ფალანგის გახსენება



მოტიდავსა და ბიზნესმენ გოგი მეკოკიშვილთან ერთად ქართული ჭიდაობის მთელი სამყარო მონაწილეობს ხოლმე.

ამ 12 აპრილსაც, დაბადების მე-100 წლისთავზე მრავლად მოუყარა თავი დიდმა არსენამ საგარეჯოში თავისი გზის გამგრძელებლებსა და ნიჭის თავიანთსმცემლებს. აქ გამართულ აბსოლუტურ პირველობაზე (ფალანგობა) დასასწრებად მოვიდნენ გამოჩენილი ქართველი ფალანგები, მსოფლიო, ოლიმპიური, ევროპის, ყოფილი სსრკ-ის ჩემპიონები და პრიზიორები: ლევან თედიაშვილი, გურამ საღარაძე, რომან რურუა, დავით გობეჯიშვილი, ნოდარ მოდებაძე, ლუკა კურტანიძე, მიხეილ სალაძე, უშანგი კუხანაშვილი, შურა მაისურაძე, მურთაზ ელერდაშვილი, გივი ონაშვილი, ტარიელ როსტომაშვილი და სხვანი. ქართული ეროვნული ჭიდაობის ფედერაციის წარმომადგენლები, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი, საგარეჯოელები.

საიუბილეო აბსოლუტური პირველობა შესავალი სიტყვით გახსნა დიდი ფალანგის ვაჟმა გოგი მეკოკიშვილმა, რომელმაც მიკროფონი შეჯიბრების მთავარ მსაჯს, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონს, ყველა დროის ყველაზე ტიტულოვან მოტიდავეს, ჩვენს თანამემამულეს ლევან თედიაშვილს გადასცა. ბატონმა ლევანმა თავის მოკლე სიტყვაში გაიხსენა ჩვენი ბუმბერაზი მოტიდავისა და „საგარეჯოელი მოტიდავეების მამის“ - არსენას დიდი ღვაწლი, მისი დამსახურება ქართველი ხალხის, მთელი ერის წინაშე და გზა დაულოცა არსენ მეკოკიშვილის პრიზზე აბსოლუტურ პირველობაში საასპარეზოდ გამოსულ რვა მძიმე წონის თავისუფალი სტილის ქართველ მოტიდავეს. პირველები ხალიჩაზე საჭიდაოდ სტეფანწმინდელი ლევან სეთურიძე და თბილისელი ლევან ბერიანიძე გავიდნენ, რომელიც ყველა მეტოქეზე მეტს - 135 კილოგრამს იწონიდა და ადვილად დაამარცხა მოწინააღმდეგე.

პირველი წრის შეხვედრის შემდეგ, მეორე წრეში მესამე ადგილისათვის ნახევარფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სტეფანწმინდელი ლევან სეთურიძე და თბილისელი გიორგი საკანდელიძე, სადაც ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა.

საინტერესო და დამაბული აღმოჩნდა

საფინალო ორთაბრძოლა ლევან ბერიანიძესა და ელიზბარ ოდიკაძეს შორის. პირველი მათგანი, როგორც აღვნიშნეთ, 135 კილოგრამს იწონიდა, ძირითადად 96 კილოგრამი წონითი კატეგორიის მოტიდავეა. ამის გამო ამ შეხვედრაში გამარჯვებას და არსენ მეკოკიშვილის პრიზს ყველა ბერიანიძეს უწინასწარმეტყველებდა, იგი ხომ მთელი 40 კგ-ით აღემატებოდა მოწინააღმდეგეს. თავდაპირველად მან ერთქულიანიც აართვა ოდიკაძეს, რამაც უკვე მთლად მის მხარეზე გადახარა მაყურებლის სიმპათიები, მაგრამ ოდიკაძემ დარჩენილ დროში თავისი შემართებითა და ბრწყინვალედ შესრულებული ილეთებით ორი სამქულიანი აართვა მეტოქეს და დამაჯერებელი ანგარიშით სძლია მას. ამით მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა ქართული ანდაზის ჭეშმარიტება, რომ ზოგჯერ ხერხი სჯობია ღონეს... მთელი დარბაზი, ამდენი სახელოვანი ფალანგი ტაშით, ოვაციებით, ფეხზე ადგომით შეხვედრენ ოდიკაძის ამ ბრწყინვალე გამარჯვებას.

ასპარეზობის დასასრულს აბსოლუტური პირველობის მესამე პრიზიორს გიორგი საკანდელიძეს დაწესებული შესაბამისი პრიზები და ფულადი ჯილდო - 700 ლარი გადასცეს ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა გურამ საღარაძემ, რომან რურუამ და დავით გობეჯიშვილმა.

მეორე ადგილზე გასულ ლევან ბერიანიძეს სიგელ-მედალთან ერთად კუთვნილი

ფულადი ჯილდო - 1000 ლარი გადასცეს გოგი მეკოკიშვილმა და მიხეილ სალაძემ. ლევან თედიაშვილმა და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ გია ნაცვლიშვილმა - 2000 ლარი და ფალანგობის ჩემპიონის მოწმობა - სიგელ-მედალით დააჯილდოვეს ელიზბარ ოდიკაძე. გია ნაცვლიშვილმა დამატებით პირველობის აბსოლუტურ ფალანგს - ელიზბარ ოდიკაძეს გადასცა ამ დღისათვის დაწესებული საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის სპეციალური პრიზიც.

საგარეჯოს ძიუდოს დარბაზიდან ფალანგობის მონაწილეობა და სტუმრებმა „მევენახის სახლში“ 100 წლის დიდი ფალანგის სახელზე გაშლილ სუფრასთან გადაინაცვლეს. აქ მათ „დალოცვილი კახურით“ დალოცეს ბუმბერაზი და დედამიწის ზურგზე განუმეორებელი ლეგენდარული ფალანგის წარსული, მისი მშობლები, სხვა ქართველი ფალანგები, შესვენს ქართველი ერისა და ხალხის ნიჭისა და გენის სადიდებელი. სუფრა დაამშვენა ანსამბლ „ფაეტონისა“ და მომდერალ სოფო ბებიას მიერ თავის მეუღლესთან ერთად შესრულებულმა ქართულმა ხალხურმა და სხვა სიმღერებმა, ნინოწმინდელი სახალხო მთქმელის შალვა ოკინაშვილის მიერ წაკითხულმა არსენ მეკოკიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილმა ლექსებმა.

აქვე შეგახსენებთ, რომ ჩვენი დიდი ფალანგის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ეს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში რიგით მესამეა. ამ პირველობას სათავე 2010 წლის 26 მარტს დაედო, მანამდე კი ტარდებოდა აბსოლუტური პირველობები ქართულ ჭიდაობაში. თავისუფალ ჭიდაობაში არსენ მეკოკიშვილის პირველი პრიზის მფლობელი დავით მოძმანაშვილი გახლდათ.



კატედრულად ფალანგს

* * *

ასი წელი გავიდა შენი დაბადებიდან, ფალანგი ფალანგებს ექცეოდი ზევდან. ასი წელი გავიდა შენი აკვნის რწვევიდან, გაშმაგებულ მეტოქეს არ უშეგებდი ხელიდან. ხალიჩის ღომს გიწოდებო, სახელოვან ფალანგს, მუხასავით მედგარი, ჰგავდი ციხე-გალავანს. შენი გიორგიწმინდა არ დაილევს რაინდებს, შენს სახელს კი სამშობლო ხანძარივით დაინთებს. მოსდევს საუკუნებს სისხლი მამაპაპური, ნაომარი, ნაკენჭი ჩვენი ერი ზღაპრული. შენი ჩოხის კალთები, დღესაც ბრწყინავს ცაშია, სხვა არსენაც გვენახოს მეკოკიანთ გვარშია. დროშასავით ფრიალებ


წვიმაში და ქარშია, უღამაზეს ლეგენდად დახვალ მთა და ბარშია. თაობიდან თაობას ეხსომები არსენად, შენ ფოლადის ჯაჭვი ხარ, - ძნელი გასახსენელადა. მჯერა, ათასწლეულებს გასძლებს შენი სახელი, ასი წლისა გაგვიხდი ღომი გარეკახელი. დაეინოქოთ, ვადიდოთ, მსოფლიოში განთქმული, დიდი სპორტის მშვენიერა, ჭიდაობა ქართული. ბრწყინავს გიორგიწმინდა, ბრწყინავს გაღმაუბანი, ფალანგანთა გამზრდელებს აჯილდოვებს უფალი. დაუკაროთ, დაუკაროთ იქით დოლი, აქით ტაში, დიდი ჩოხის კალთა ბრწყინავს ჩემს პატარა ქვეყანაში. მიდი არსენ, მიდი არსენ! კივისცა და კივის მიწა, შენს საფლავზე ფალანგო,

უკვდავებამ გაიღვიძა. საჭიდაო ხალიჩაზედ საბრძოლველად უხმეთ ღომებს, რაინდთა და გმირთა გზა-კვალს უფალი არ მიატოვებს. შენს საფლავთან შუქი კრთის, თუ გრძნობათა ომია? მგელმა უნდა იცოდეს, ღომი მკვდარიც ღომია.

შალვა ოკინაშვილი

არსენ მეკოკიშვილს

შენ ქართველი დავითი ხარ, ამარცხებდი გოლიათებს, და მსოფლიოს არენები სულ ტრიუმფით მოიარე! არასოდეს დაგვიწყია, სიტყვა დიდი სტალინისა, მეტოქეს ნუ გაახარებ, გახსოვდეს, რომ ქართველი ხარ! და შენც მუდამ ქართველობდი; მიჰყვებოდი სისხლის ყივილს, ივრისპირეთში გაზრდილი, გიორგიწმინდელი ბიჭი! ადიდე ქართველთა ჯიში, ქართველ ხალხის, ქართველ ერის შენა ხარ შარავანდელი!



ისე გახველ ამ ქვეყნიდან, ქედი არსად მოვიხრია, შენ ლეგენდად დარჩი ხალხში, ფალანგები მუხლს გიყრიან! 12 აპრილს ასის გახდი, თუმცა წლები რას დაგაკლებს, ფალანგო, ეგ სახელი კიდევ დიდხანს იკაშკაშებს!

ბიჭო ლაბახიშვილი

მელოდია

ნინო და საბა ბაჟიაშვილებს



ჩვენს საყვარელ შვილიშვილებს **ნინო და საბა ბაჟიაშვილებს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ჩვენო მშვენიერო და თვალციმციმა ნინო, შენ უკვე დიდი გოგონა ხარ, 3 წლის ხდები, შენი ბიძაშვილი – კაცური კაცი – საბა – ორი წლის. გაიზარდეთ ჯანმრთელი, ღამაზე, სიკეთე და სიხარული არ მოგიშალოთ უფალმა, ბედნიერი ბავშვობა, ნათელი, უღრუბლო მომავალი გქონდეთ.

გვიყვარხართ, გვეიმედებით, თქვენს გაზრდა-დაფრთხილებას მართლაც რომ იმედია და დიდი სიამაყით შევუერთებთ. აქ ჩვენ, თქვენი ბებია-პაპა ვილოცვთ თქვენი ჭეშმარიტ ქართველად გაზრდისათვის და იმედიანად კი ალბათ თქვენი უფროდ წასული ბიძა ლოცულობს.

გვარავლეთ დედა ღვთისმშობელი.

სიყვარულით ბებია და პაპა

დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარეს **ნინო ბაჟიაშვილს**. ვუსურვებთ სიკეთეს, სიხარულს თავის ოჯახთან ერთად.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გატონ ნინო ბიუაშვილს

დაბადების დღეს – 11 მაისს და დამდეგ კალთხობას ვულოცავთ ჩვენს ღირსეულ თანასოფელს, მანაველებისა და არა მარტო მათი გაჭირვების ტალღებს, სწეულთა და ავადმყოფთა დიდ ქომაგსა და მოამაგს, პიპოკრატეს ფიცის ნამდვილ მსახურს, უანგარო და დაუზარელ პიროვნებას, ჩვენს საყვარელ ნიკო გიუაშვილს.

ასხეუბე თუ არა ნიკო ექიმის სახელს, სოფელში ყველამ, დიდამ თუ პატარამ იცის, რომ საუბარი მასზეა. ეს სახელი და აღიარება მან თავისი კაცურკაცობით, მანაველთა ჭირსა თუ ღვინაში გვერდში დგომით, მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვით მოიპოვა. ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერებას, სიხარულსა და ჯანის სიმრთელეს ვუსურვებთ ჩვენს საყვარელ ნიკო ექიმს. ღმერთი და სალოცავები ჰფარავდეს მას და მის საყვარელ ოჯახს, მრავალკვირად.

პატივისცემით

ოთარ და რიმა ტარტირაშვილები



მანავის საჯარო სკოლის პედოგოგიკური და ტექნოლოგიური დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს მზრუნველ და ამავდარ დირექტორს ქალბატონ **ნინო (ლილია) ბიუაშვილს**, თავის ასევე, იუბილარ მეუღლესთან ბატონ **ვლადიმერ ბიუაშვილთან** ერთად.

ქალბატონო ლია, ვისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, წელთა მატებას, ღამაზე, ბედნიერ ცხოვრებას საყვარელ ოჯახში – თქვენს საამაყო შვილებთან და კუდრაჭა შვილიშვილებთან ერთად. ყოფილიყავით მუდამ წარმატებული, წინსვლა და გამარჯვებები ყოფილიყოს თქვენი თანამგზავრი, გვარავლეთ დედა ღვთისა და წმინდა ნიკოლოზი, მუდამ თქვენი თანამგზავრი ყოფილიყოს სოფლისა და ხალხის პატივისცემა და სიყვარული, რომელიც დამსახურებულად მოიპოვეთ თქვენი აღსაზრდელების სიყვარულთან ერთად.

მრავალი ასეთი იუბილე გეხეივით ბედნიერსა და გახარებულს.

ჩვენს დიდ თანასოფელს, ნაღდ მანაველსა და დასტაქარს, ალაღვულა და უანგარო პიროვნებას, ფუძის მადლისა და მეგობრობის ღირსეულად დამფასებელს, სწეულთა და გაჭირვებულთა შემწევესა და შვილის მომხიბვლელს, ბატონ **ნინო ბიუაშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს.

დაე, კიდევ დიდხანს-დიდხანს დაემშვენებინოს მანავი და ეს ქვეყანა თავისი დარბაისლური, წრფელი მართლმადიდებლური ყოფა-ქცევით, ეხაროს და ებედნიეროს თავის საყვარელ ოჯახთან და შთამომავლებთან ერთად.

ღმერთმა და სალოცავებმა გვიმრავლოს ბატონო ნიკო შენისთანა ადამიანები მანავსა და მთელ საქართველოში.

გივი დაბახიშვილი

პრილის დასაწყისში გურჯაანში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი 1997-1998 და 1999-2000 წელს დაბადებულ ჭაბუკ და კადეტ ძიუდოსტთა შორის, სადაც თავიანთ ძალებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კიბანოსნებიც სცდიდნენ.

1997-1998 წლიანებში საგარეჯოში თავან ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: 60 კგ.წონით კატეგორიაში, – მანაველი ბექა ტერტერაშვილი, 66 კგ-ში საგარეჯოელი სიმონ მამარდაშვილი, მძიმე წონაში კი მესამე საპრიზო ადგილზე კაკაბეთელი გიორგი ჯიქიძე გავიდა.

რაც შეეხება კადეტებს შორის

20-22 აპრილს საგარეჯოს ძიუდოს დარბაზში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის მიერ ჩატარდა გიგლა ბუზარიაშვილის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1997-2000 წლებში დაბადებულ ჭაბუკ მოჭიდავეებს შორის.

ტურნირში, რომელიც 16 წონით კატეგორიაში ჩატარდა, მონაწილეობდნენ ქობულეთის, ხელვაჩაურის, კასპის, ყვარლის, დედოფლისწყაროს, აფხაზეთის, თბილისის, დიღომისა და ლეკან თვლიაშვილის სპორტსკოლებისა და საგარეჯოს საკრები გუნდები.

საგარეჯოელი ფალანგებიდან ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: გიორგი შათირიშვილი (29 კგ წონითი კატეგორია), მიშკო ბოჭორიძე (42 კგ წონითი კატეგორია), გიგლა შიოშვილი (63 კგ), მის-

საგარეჯოელ საპრიზო ნაკრებში მებრძოლ ქაზახთა წარმომადგენელი



ზაურ მამარდაშვილი

მას წინათ რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკ სამბისტთა შორის. მასში მონაწილე საქართველოს სამბისტთა ნაკრების ღირსებას, სხვა ქართველ ფალანგებთან ერთად ორი საგარეჯოელი ჭაბუკი – ზაურ მამარდაშვილი და ზაზა როსტომაშვილიც იცავდნენ. მათგან ზაურ მამარდაშვილმა გაიმარჯვა 87 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ზაზა როსტომაშვილს კი ამ ტიტულისაკენ მიმავალი გზა მსაჯთა არაობიექტურობამ გადაუკეტა და მხოლოდ ვიცე-ჩემპიონის წოდება დაიმსახურა 60 კგ წონით კატეგორიაში. ამ

გიგლა ბუზარიაშვილის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

ეილ შათირიშვილი (76 კგ) და ლეკან ბოჭორიძე (85 კგ).

ევროპის პრიზორები გახდნენ თორნიკე ხებრელაშვილი (35 კგ), დათო მარტაშვილი (54 კგ) და ლეკან კანჯარაშვილი (76 კგ).

ბრინჯაოს პრიზორებით აღნიშნეს ტურნირზე გამოსვლა ნიკა მესროფოვა და სოსო გილაშვილი (ორივე 42 კგ), თომა რევაზიშვილი (58 კგ), გიორგი ჭიბურაშვილი და გიორგი მეოკიშვილი (ორივე 69 კგ).



ზაზა როსტომაშვილი

შედეგებით ჩვენმა მოჭიდავეებმა თავიანთი ღირსეული სიტყვა თქვეს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების პირველი ადგილის დაკავების საქმეში. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე ჩვენი სამბისტი წარმატებით ასპარეზობდა საქართველოს ჭაბუკ სამბისტთა ჩემპიონატზე, სადაც ზაზა როსტომაშვილი 60 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი, ზაურ მამარდაშვილი კი 81 კგ წონით კატეგორიაში მესამე პრიზორი გახდა.

სსრკ-ის

ნალია ახიჯანოვი

ჩემო ძვირფასო დედიკო, ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მოურჩენელმა სენმა არ დაგინდო და შენი ღამაზე სული უფალმა ზეცაში აიტაცა. მთელი შენი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ სიკეთეს, სიყვარულს აფრქვევდი, ყველა მეზობლის, ნათესავისათვის საყვარელი ადამიანი, უბადლო დედა იყავი. იცოდებ, რამდენი წელიც უნდა გავიდეს, ჩვენი დედაშვილობა არასოდეს გაწყდება – შენ უხილავად მუდამ ჩვენთან ხარ, ჩვენი საყვარელი დედიკო. ჩვენ მუდამ ვგრძნობთ შენს სითბოს, მუდამ ჩაგვესმის შენი ხმა, გაუხადლისი მონატრება გვახრობს, რომელიც მარადიულ ტკივილად იქცა. დედიკო, ჩვენგან არასოდეს მოგაკლდება ლოცვა, სანთელ-საკმელი, რათა ზეცაში შენს წმინდა სულს ნათელი დაადგეს. ჩემო დედიკო, მანდ, საიქიმში, ყველა ის საყვარელი ადამიანი დაგხვდება, რომელმაც ძალიან გატკინა გული იმეგვინად ნაადრევად წასვლით, მეუღლე, შენი საყვარელი სიძე – ვაჟა, ძმა. 30 აპრილს ხომ შენი დაბადების დღეა, გაიხსენებთ – მოვალთ, დაგინებთ სანთლებს, მოვიგონებთ შენს ღიმილს, ამავს, სამივე ოჯახის ბურჯი, დედაბოძი, დიდი მუხა გამოგვეცალგე ილოცე დედიკო ყველასთვის, ვინც კარგად მოვიგონებს.

შვილი ნინო ახიჯანოვი,

შვილიშვილი

ნათია გულაღაშვილი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაგრძობას უცხადებს ამავს საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარეს ვანო გრძელაშვილს

გეგის

გარდაცვალების გამო.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი: თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,



გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 577 951 488

ელ. ფოსტა: garejismacnel@hotmail.com